საქართველოს სოლიდარობის ფონდი
SOLIDARITY FUND OF GEORGIA

„საქართველოს სოლიდარობის ფონდის“ აღმასრულებელი გუნდის

მიმართვა

ქალბატონებო და ბატონებო,

მოგეხსენებათ, რომ პრემიერ-მინისტრის ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივნისის №1022 განკარგულებით დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს სოლიდარობის ფონდი“.

ფონდის მიზანია საზოგადოების, კერძო სექტორისა და სახელმწიფოს თანამონაწილეობით, ინოვაციური დაფინანსების მექანიზმების ამოქმედებით, უზრუნველყოს საქართველოში მცხოვრები სოციალურად განსაკუთრებულად დაუცველი ან კატასტროფული სოციალური დანახარჯების რისკის წინაშე მდგარი ბავშვებისა და ოჯახებისათვის ალტერნატიული (არასაბიუჯეტო) რესურსების მობილიზაცია და პრიორიტეტულ სოციალურ საჭიროებებზე მიმართვა.

საქართველოს მთავრობამ 2013 წელს უპრეცედენტოდ გაზარდა ჯანდაცვის სექტორის ბიუჯეტი და 2.2 მილიონი მოქალაქე, რომელსაც არანაირი სამედიცინო დაზღვევა არ ჰქონდათ უკვე გახდნენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მოსარგებლეები. დღეს საქართველოს ყველა მოქალაქე გარანტირებულია ბაზისური სამედიცინო პროგრამების პაკეტით, ხოლო 2014 წელს გამოკითხულ მოქალაქეთა 80%-ზე მეტი კმაყოფილია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მიღებული სერვისებით.

თუმცა, აღნიშნული მიღწევების პარალელურად რჩება რიგი ძვირად-ღირებული სამედიცინო ჩარევები, როგორიცაა მაგალითად დადასტურებული საჭიროების შემთხვევაში ონკოლოგიური პაციენტებისათვის ძვირადღირებული ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაცია,რომელიც დღეს არსებული სახელმწიფო რესურსებით სრულად ვერ იფარება. ასევე პრობლემად რჩება სოციალურად დაუცველ ოჯახებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის სარეაბილიტაციო სერვისები.

დღემდე აღნიშნულ შემთხვევებში პაციენტების დასახმარებლად პაციენტის ოჯახები და მეგობრები ან არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებდნენ ფონდების მობილიზაციას; არ არსებობდა ერთიანი პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფდა როგორც სისტემატურად თანხების მობილიზაციას და ყველა შესაძლო ბენეფიციარის დახმარებას, ამასთანავე რესურსების გამჭირვალე ადმინისტრაციასა და საზოგადოების წინაშე რეგულარულ ანგარიშგებას.

სწორედ ერთიანი პლატფორმის შემუშავების მიზნით, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის (მ.შ. საფრანგეთის, გერმანიის, ჩეხეთის) და გლობალური ორგანიზაციების (მაგ. UNITAID, ProductRed) გამოცდილების შეჯერებით დაფუძნდა საქართველოს სოლიდარობის ფონდი.

ფონდი საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით უზრუნველყოფს სოლიდარობის პრინციპით ნებაყოფლობითად, მცირე დონაციებით (მიკრო-დონაცია, მიკრო-ფილანტროპია) ფინანსური რესურსების მობილიზებას ინდივიდუალური მოქალაქეებისა და კორპორატიული ინიციატივებიდან და ყველაზე მწვავე სამედიცინო და სოციალურ საჭიროებებზე სისტემურ მიმართვას.

ფონდის საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობისათვის ფონდის მმართველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო და მუდმივმოქმედი კომისია, რომელთა შემადგენლობაში სამთავრობო სექტორთან ერთად ჩართული არიან არასამთავრობო, კერძო სექტორის, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ფონდის კონცეფციით პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია მცირე დონაციების შეგროვება ექვსი ძირითადი წყაროდან:

1. საჯარო მოხელეების მიერ ნებაყოფლობით გაცემული თანხებიდან - აღნიშნული თანხები შეიძლება მოიცავდეს ყოველთვიურად მცირე დონაციას ინდივიდუალური გადაწყვეტილების შესაბამისად. **კიდევ ერთხელ გვსურს ყურადღების გამახვილება, რომ აღნიშნული შემოწირულობები უნდა იყოს ნებაყოფლობითი და დადასტურებული შესაბამისი დონაციის ფორმით.**
2. ასევე კერძო სექტორში დასაქმებული მოქალაქეების მხრიდან ანალოგიური ნებაყოფლობით გაცემული ყოველთვიური მცირე დონაციებიდან;
3. საბანკო პროდუქტებიდან - საბანკო ტრანსფერები, ინტერნეტ-ბანკის და სხვა მომსახურებიდან - მცირე ნებაყოფლობითი დონაციებით;
4. საქართველოს მასშტაბით მოქმედ სასტუმროების ქსელში როგორც საქართველოს ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ გაცემული მიკრო-დონაციებით;
5. საქართველოს მასშტაბით კინო-თეატრების ქსელში ნებაყოფლობითი მიკრო-დონაციებით, და
6. სარეკლამო საქმიანობასთან ასოცირებული (სატელევიზიო, რადიო, ინტერნეტ რეკლამის განთავსებისას) მცირე-დონაციების სახით.

პირველივე ეტაპზე სოლიდარობის ფონდის მიზანი იყო მობილიზებული თანხებით ფინანსური ბარიერების მოხსნა ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებისათვის, როგორც საქართველოში ასევე სამედიცინო აუცილებლობის შემთხვევაში საზღვარგარეთ სამკურნალოდ.

უსაზღვროდ მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ 40,000 საჯარო მოხელისა და 17 კომპანიის მხარდაჭერით დღეს საქართველოს სოლიდარობის ფონდმა სახელმწიფო დაფინანსების პარალელურად პრაქტიკულად გადაჭრა 22 წლამდე ასაკის ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების მკურნალობისათვის ფინანსური პრობლემა.

ფონდის დაფუძნებიდან დღემდე 2 600 000 ლარზე მეტი იქნა მობილიზებული და დამტკიცებული 97 ბავშვისა და ახალგაზრდის დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის, მათ შორის 57 შემთხვევაში საქართველოში, ხოლო 40 პაციენტისათვის როგორც საქართველოში ასევე გერმანიის, თურქეთის, ისრაელის, იტალიისა და საფრანგეთის კლინიკებში. დეტალურად აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია სოლიდარობის ფონდის მე-5 პერიოდულ ანგარიშში, რომელიც ერთვის წინამდებარე წერილს ან შეგიძლიათ იხილოთ ფონდის ვებ-გვერდზე: SOLIDAROBA.GE

უდიდესი მიღწევების მიუხედავად, ჩვენი დახმარება ბევრად უფრო მეტ - ათასობით ბავშვსა და ოჯახს სჭირდება და ეტაპობრივად ფონდში ჩართულობის პარალელურად ჩვენ შევძლებთ გავაფართოოთ ფონდის პროგრამებიც.

შესაბამისად, საქართველოს სოლიდარობის ფონდი აგრძელებს საჯარო და კერძო სექტორთან აქტიურ თანამშრომლობას, რათა არა მხოლოდ შევინარჩუნოთ მიღწეული შედეგები, არამედ შესაძლებელი გავხადოთ პროგრამის ეტაპობრივი გაფართოვება. 2015 წლის მარტში სოლიდარობის ფონდში დაფიქსირდა 275 000 ლარის დონაცია. ფონდში ჩართულობის გაზრდასთან ერთად გაფართოება შესაძლებელია შემდეგი მიმართულებებით:

- **ყოველთვიურად 400 000 ლარის დონაციით** ჩვენ გვექნება შესაძლებლობა, რომ 100 ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციეტისათვის ძვირადღირებული მედიკამენტის - მაბტერის ფასი, რაც დღეს 30 000 ლარს აღწევს, გავანახევროთ;

- **ყოველთვიურად 600 000 ლარი** საშუალებას მოგცემს **მნიშნელოვნად შევამციროთ ჰერცეპტინის ღირებულება 250-მდე ქალბატონისათვის,** რომელთა ინდივიდუალურ მკურნალობას 60 000-დან 100 000 ლარამდე რესურსი სჭირდება.

- **800 000 ლარამდე** ყოველთვიური დონაცია საშუალებას მოგვცემს, რომ ქვეყნის მასშტაბით დავაფინანსოთ **ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია ონკოლოგიური პაციენტებისათვის განურჩევლად ასაკისა;**

- **900 000 ლარამდე ყოველთვიური დონაცია** მოგცემს **1 000** შეზღუდული შესაძლებლობებისა და ეპილეფსიის მძიმე ფორმით დაავადებული **ბავშვისათვის ვუზრუნველყოთ ანტიეპილეფსიური მედიკამენტები;**

- **ყოველთვიურად 1 000 000 ლარის მობილიზება** კი საშუალებას მოგვცემს დავფაროთ აუტიზმის აბილიტაციის მომსახურება სულ მცირე **200 ბავშვისათვის.**

- ნებისმიერი შემდგომი გაფართოვება სოლიდარობის ფონდს საშუალებას მოგვცემს, რომ დავფაროთ ძვირადღირებული ინდივიდუალური სამედიცინო ჩარევები, როგორიც არის სმენის დაქვეითების შემთხვევაში კოხლეარული იმპლანტაცია, ორგანოთა ტრანსპლანტაცია და სხვა განსაკუთრებით ძვირადღირებული სერვისები.

თუ გაქვთ სურვილი, რომ შემოგვიერთდეთ ამ ინოვაციურ პროექტში, გთხოვთ შეავსოთ თანდართული ფორმა (დანართი 1) და მიაწოდოთ თქვენი უწყების ფინანსურ სამსახურს მ/წ 31 მაისამდე.

აქვე აღვნიშნავთ, თუ თქვენი უწყების თანამშრომლები უკვე არიან მსგავს ინიციატივაში ჩართული - მაგალითად „დიტო ცინცაძის სახელობის ფონდის“ ან „ბერი ანდრიას ფონდის“ ყოველთვიურ მხარდაჭერაში - გთხოვთ არსებული დონაციების სისტემა უცვლელად დატოვოთ. საქართველოს სოლიდარობის ფონდი მჭიდროდ თანამშრომლობს ზემოთაღნიშნულ და სხვა მსგავსი მანდატის ორგანიზაციებთან პაციენტთა მხარდაჭერის გზით საერთო მიზნების მისაღწევად.

ფონდის აღმასრულებელი გუნდის სახელით წინასწარ მადლობას მოგახსენებთ თანადგომისათვის.

პატივისცემით,

მარიამ ჯაში
ააიპ საქართველოს სოლიდარობის ფონდის
აღმასრულებელი დირექტორი

2015 წლის 30 აპრილი